# გენდერული დეზინფორმაცია და გენდერულად მგრძნობიარე გაშუქება

## გზამკვლევი ჟურნალისტებისთვის




Federal Foreign Office

CIVIL SOCIETY COOPERATION

wecf

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

# გენდერული დეზინფორმაცია და გენდერულად მგრძნობიარე გაშუქება

## გზამკვლევი ჟურნალისტებისთვის

**მოამზადა ლია ჩახუნაშვილმა**

გზამკვლევი მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ პროექტის „ქალები და მათი უფლებები: ეთიკური მედია კავკასიაში” ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს „სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის” პროგრამის ფარგლებში WECF-თან პარტნიორობით.

*მედიის განვითარების ფონდი 2023*

# სარჩევი

**შესავალი ........................................................................................................................................4**

1. **გენდერული დეზინფორმაციის მრავალმხრივ დამაზიანებელი ბუნება............................7**
2. **გენდერული დეზინფორმაციის განსაზღვრება და მახასიათებლები .................................10**
3. **სახელმწიფოსთან დაკავშირებულ გენდერული დეზინფორმაცია .....................................15**

3.1. ჯესიკა აროს ისტორია ..........................................................................................................16

3.2. მარია რესას ისტორია ..........................................................................................................18

3.3. ნიკოლ პერლროთის ისტორია ..............................................................................................20

4. **რეკომენდაციები ჟურნალისტებისთვის პასუხისმგებლიანი გაშუქების თაობაზე......22**

**გამოყენებული ლიტერატურა .........................................................................................................28**

## შესავალი

ბოლო წლებში გენდერული დეზინფორმაციის (gendered disinformation) სამიზნე სხვადასხვა ქვეყანაში საჯარო სივრცეში აქტიური ბევრი ქალი გახდა. გამონაკლისი არც საქართველოა. ჩვენს ქვეყანაშიც ქალ ჟურნალისტებს, ქალ აქტივისტებს, ქალ პოლიტიკოსებს შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების ატანა და ონლაინ თავდასხმებთან გამკლავება უწევთ.

ჩვენ გადავწყვიტეთ, შეგვეჯამებინა ძირითადი ინფორმაცია იმ ნაშრომებიდან, რომელთა ავტორებმაც გენდერული დეზინფორმაცია და მისი გავლენა შეისწავლეს, რათა  თქვენთვის უფრო სიღრმისეულად განგვემარტა ამ ფენომენის ბუნება და ის საფრთხეები, რომელთაც ის უქმნის ქალებს, დემოკრატიას და ეროვნულ უსაფრთხოებას მთელ მსოფლიოსა და საქართველოში. სამი ქალი ჟურნალისტის ისტორია, რომელსაც ასევე გიზიარებთ, კარგად აჩვენებს, თუ რისი გადატანა უხდებათ პრინციპულ პროფესიონალებს სხვადასხვა ქვეყანაში გენდერული დეზინფორმაციის ნიაღვართან დაპირისპირებისას. იმისთვის, რომ ხელი არ შეუწყონ გენდერული უთანასწორობის გაღრმავებას და არ შექმნან გენდერული დეზინფორმაციის გასავრცელებლად კიდევ უფრი მეტად ხელსაყრელი გარემო, ჟურნალისტებმა ქალების შესახებ მასალების მომზადებისას მეტი მგრძნობელობა უნდა გამოიჩინონ. რეკომენდაციები, რომელიც პროფესიულ ლიტერატურაში მოვიძიეთ, ამგვარი მგრძნობელობის გამომუშავებაში დაგეხმარებათ.

ევროკავშირის დეზინფორმაციის შემსწავლელმა ლაბორატორიამ (the EU DisinfoLab) კონფერენციის RightsCon 2021 ფარგლებში სესიაზე „გენდერი და დეზინფორმაცია: გენდერზე დაფუძნებული მიდგომისკენ მკვლევრების, აქტივისტებისა და მათი მხარდამჭერებისთვის“ (“Gender and Disinformation: towards a gender-based approach for researchers, activists, and allies”) განხილური საკითხების შემაჯამებელი ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიში კარგად ასახავს იმ გამოწვევებს, რასაც გენდერული დეზინფორმაცია ქმნის დემოკრატიისა და უსაფრთხოებისთვის ადგილებზე და გლობალურად, ასევე იმ სირთულეებს, რასაც უფლებადამცველები და სხვები ამ პრობლემასთან გასამკლავებლად ეფექტური პასუხის შემუშავებისას აწყდებიან.

გენდერული დეზინფორმაციის არსის გაგებაში გვეხმარება 2021 წელს გამოქვეყნებული კვლევა „გამომგონებლური მიდგომები ბოროტი მიზნების მისაღწევად: როგორ გამოიყენება გენდერი, სექსი და ტყუილი იარაღად ქალების წინააღმდეგ ონლაინ“ (“Malign Creativity: How Gender, Sex, and Lies are Weaponized Against Women Online”), რომელზეც ნინა იანკოვიჩმა, ჯილიან ჰანჩაკმა, ალექსანდრა პავლიუსმა, სელია დევიესმა, შანონ პიერსონმა და ზოი კაუფმანმა (Nina Jankowicz, Jillian Hunchak, Alexandra Pavliuc, Celia Davies Shannon Pierson, Zoë Kaufmann) იმუშავეს, ვუდროუ ვილსონის სახელობის საერთაშორისო ცენტრის (Wilson Center) პროგრამის ფარგლებში. კვლევა ფოკუსირებული იყო 13 ქალ

პოლიტიკოსზე ოთხი ინგლისურენოვანი ქვეყნიდან. მკვლევრებმა გააანალიზეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან 9 ნოემბრამდე პერიოდში ექვს სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული, კვლევის სუბიექტების წინააღმდეგ მიმართული შეურაცხმყოფელი პოსტები. კვლევის ნაწილი იყო ასევე სამი ჩაღრმავებული ინტერვიუ და ორი ფოკუს-ჯგუფი ქალების ყოველდღიურ ცხოვრებაზე გენდერით მოტივირებული შეურაცხყოფისა და დეზინფორმაციის გავლენის გამოსავლენად.

მნიშვნელოვანი წყარო იმის გასაგებად, თუ რა საფრთხეს უქმნის დემოკრატიას სახელმწიფოსთან დაკავშირებული გენდერული დეზინფორმაცია, არის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) თხოვნით, დემოკრატიის ეროვნული ფონდის (National Endowment for Democracy) პროგრამის ფარგლებში, DEMOS-ის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელმაც სახელმწიფოსთან დაკავშირებული (state-aligned) გენდერული დეზინფორმაცია ორი ქვეყნის - პოლონეთისა და ფილიპინების - მაგალითზე შეისწავლა. კვლევის ანგარიში (“Engendering Hate: The Contours of the State-Aligned Gendered Disinformation Online”) 2020 წელს გამოქვეყნდა და მისი ავტორები არიან ელენ ჯადსონი, ასლი ატაი, ალექს კრასოდომსკი-ჯონი, როუზ ლასკო-სკინერი და ჯოშ სმიტი (Ellen Judson, Asli Atay, Alex Krasodomski-Jones, Rose Lasko-Skinner, Josh Smith). კვლევა კარგად აჩვენებს, თუ როგორ იყენებენ სახელმწიფოსთან დაკავშირებული (state-aligned) აქტორები დეზინფორმაციას ონლაინ საზოგადოების აღქმების მანიპულირებისათვის, გამორიცხავენ, ჩქმალავენ და აუბრალოებენ რა ქალების პოტენციალს და კონტრიბუციას პოლიტიკაში.

ჩვენი გზამკვლევი ძირითადად ზემოთ აღწერილ ამ სამ წყაროს ეყრდობა.

ასევე გამოვიყენეთ:

- ქალი ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული ონლაინ ძალადობის გლობალური კვლევა („The Chilling: A global study of online violence against women journalists“), რომელიც ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრმა (ICFJ) UNESCO-ს მხარდაჭერით განახორციელა. ანგარიში 2022 წელს გამოქვეყნდა, ჯულია როზეტისა და ნაბილა შაბირის (Julie Posetti and Nabeelah Shabbir) რედაქტორობით;
- ბრუკინგსის ინსტუტუტის (The Brookings Institution) მიერ 2021 წელს გამოქვეყნებული სტატია „გენდერული დეზინფორმაცია ეროვნული უსაფრთხოების პრობლემაა“ (“Gendered disinformation is a national security problem”), ლუსინა დი მეკოს და კრისტინა უილფორის (Lucina Di Meco Kristina Wilfore) ავტორობით;
- ნინა იანკოვიჩის 2017 წელს „კოდა“-ში (CODA.) გამოქვეყნებული სტატია „როგორ გახდა დეზინფორმაცია ახალი საფრთხე ქალებისთვის“ (“How disinformation became a new threat to women”);
- Article 19-ის ინტერნეტ რესურსი “ქალი ჟურნალისტების შეურაცხყოფა და შევიწროება ონლაინ” (Online abouse and harassment against women journalists).

ლიტერატურის უფრო სრული სია მოცემულია გზამკვლევის ბოლოს.

რეკომენდაციები ამოვიღეთ ქალთა უფლებებზე მომუშავე ჯგუფის, We Are UltraViolet, გზამკვლევიდან “როგორ უნდა შეინარჩუნოს მედიამ სამართლიანობა და მიუკერძოებლობა დეზინფორმაციის პირობებში პოლიტიკაში ჩართულ ქალთა და ფერადკანიანთა გაშუქებისას.” UltraViolet (https://weareultraviolet.org/), რომელიც ბაზირებულია აშშ-ში, იბრძვის სექსიზმის წინააღმდეგ და უფრო ინკლუზიური სამყაროს შესაქმნელად.

## 1. გენდერული დეზინფორმაციის მრავალმხრივ დამაზიანებელი ბუნება

გლობალურ დონეზე უკიდურესი მემარჯვენე ძალების მომძლავრებისა და დემოკრატიის უკანდახევის ფონზე გენდერული დეზინფორმაცია განსაკუთრებული შეშფოთების საგანია.

გენდერული დეზინფორმაცია მრავალმხრივ დამაზიანებელია. ის არა მხოლოდ პერსონალურად უქმნის საფრთხეს საჯაროდ აქტიურ ქალებს, არამედ, ქალებისთვის მონაწილეობის უფლების წართმევითა და საჯარო პროცესებში მათი ჩართულობის შემცირებით, საფრთხეს უქმნის დემოკრატიასაც. კონკრეტული ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პერსონალიზებული აქტები ხშირად სხვა ქალების დაშინებას და გენდერული სტერეოტიპებისა და მიზოგინიის მოშველიებით, საზოგადოებაში ქალების შესაძლებლობების მიმართ უნდობლობის გაღვივებასაც ისახავს მიზნად. ამავდროულად, გენდერული დეზინფორმაცია წარმოადგენს სერიოზულ რისკს ეროვნული უსაფრთხოებისთვისაც, როგორც ერთ-ერთი იარაღი გარეშე მტრული ძალების ხელში საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.

ქალები საჯარო სივრცეში საქმიანობისთვის დიდ ფასს იხდიან მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანაში - ონლაინ სივრცეში ქალი პოლიტიკოსები, საჯარო მოხელეები, საჯარო ფიგურები, აქტივისტები, ჟურნალისტები და ფაქტების ანალიტიკოსები (ფაქტ-ჩეკერები), უბრალოდ აქტიური მოქალაქეები, სულ უფრო ხშირად ხდებიან სიძულვილით განმსჭვალული და სიძულვილის გამღვივებელი ადამიანებისა და ჯგუფების და სხვადასხვა მავნე აქტორის სამიზნე. ხშირად პატრიარქალური/კონსერვატიული კულტურული შეხედულებებით, გენდერული სტერეოტიპებითა და ფართოდ გავრცელებული მიზოგინიით ნასაზრდოებ სიძულვილს საშინაო ან გარე, მათ შორის, სახელისუფლებო, აქტორების მიერ ინიცირებული ან ხელშეწყობილი მიზანმიმართული კამპანიები ერთვის. საქმე კიდევ უფრო რთულდება, როცა საშინაო და გარე აქტორები უნისონში იწყებენ მოქმედებას. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ონლაინ აალებული სიძულვილი ოფლაინში ინაცვლებს და ქალებს უკვე ფიზიკურ სივრცეში უქმნის საფრთხეს. ხშირად სიძულვილი არა მხოლოდ საჯაროდ აქტიურ ქალებს, არამედ მათი ოჯახის წევრებს, მეგობრებს და მხარდამჭერებსაც კი მიემართება.

დღევანდელ მსოფლიოში შეუძლებელია ადამიანმა საჯარო ცხოვრებაში წარმატებას მიაღწიოს, თუკი ის სოციალურ მედიას არ გამოიყენებს. სოციალური მედია დაბალბიუჯეტიანი ალტერნატივაა იმ ქალებისთვის, რომლებიც საჯარო სფეროში საქმიანობენ და დიდ ფინანსურ რესურსებს არ ფლობენ. სოციალური მედია მათ ეხმარება, რომ თავიანთი მოსაზრებები და იდეები ამომრჩევლებამდე /მოქალაქეებამდე მიიტანონ, საჯარო სივრცეში „გამოჩნდნენ" ტრადიციული მედიის შუამავლობის გარეშეც და კრეატიული გზით იბრძოლონ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების წინ წამოსაწევად და მოქალაქეთა მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ჟურნალისტების, ფაქტების ანალიტიკოსებისა და

აქტივისტებისთვის სოციალური მედია სასიცოცხლოდ აუცილებელი სამუშაო გარემო და ინსტრუმენტია.

ონლაინ სივრცეში ქალების წინააღმდეგ მიმართული მზარდი სიძულვილი მათ სოციალური მედიის ყველა სიკეთით სარგებლობის საშუალებას ართმევს. ქალები არჩევანის წინაშე დგებიან, აიტანონ უწყვეტი შეურაცხყოფა და თავდასხმები და რისკის ქვეშ დააყენონ როგორც თავიანთი, ასევე ოჯახის წევრების ფიზიკური და მენტალური კეთილდღეობა და სიცოცხლეც კი, ან თვითცენზურას მიმართონ, მეტიც, საერთოდ დატოვონ ონლაინ სივრცე და, შესაბამისად, უარი თქვან თავინთი ცხოვრების საჯარო განზომილებაზე, რომელსაც ციფრული გარემოს მიღმა უბრალოდ ვერ განავითარებენ. ზოგიერთი მათგანი იძულებული ხდება, რომ თავდამსხმელებს დაემალოს ან სულაც ქვეყანა დატოვოს.

გენდერული დეზინფორმაცია ქალებს ინტელექტუალურად უუნაროდ წარმოაჩენს, ადამიანებად, რომლებიც საჯარო როლებს არ იმსახურებენ. გენდერული დეზინფორმაცია იყენებს გენდერულ სტერეოტიპებს და მიზოგინიურ ტროპებს, რათა საზოგადოება იმაში დაარწმუნოს, რომ საჯარო ცხოვრებით დაინტერესებული ქალები ცბიერები, სულელები, ზედმეტად სექსუალურები ან ამორალურები არიან, ან კი ისეთი სუსტები, რომ მათ მფარველობა სჭირდებათ. ეს სტრატეგია ქალებს ძალაუფლებას და ხილვადობას ართმევს. ონლაინ მჩქეფარე სიძულვილის ნიაღვარი ქალებს აჩუმებს და საჯარო სივრციდან დევნის. შედეგად, ისინი სრულფასოვნად ვერ სარგებლობენ ვერც სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებით და ვერც სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ფუნდამენტური უფლებით.

სიძულვილი და ძალადობა ციფრულ გარემოში მრავალგვარი ფორმით ვლინდება, დაწყებული შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი მიმართვით და შეფასებებით, მასხრად აგდებით გარეგნობის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გამო, მორალური სახის ან განათლების დონის დაწუნებით, პირადი ცხოვრების დეტალებით დაშანტაჟებით, დასრულებული ჭორებით, ცილისწამებით, შეთხზული და დაუსაბუთებელი ბრალდებებით, გაყალბებული აუდიო და ვიდეო ჩანაწერებით, პორნოგრაფიული ხასიათის, ფოტოშოფში დამუშავებული ფოტოებით და დიფ-ფეიკებით. თუ ერთ შემთხვევაში ქალების წინააღმდეგ რეალურ ფაქტებს იყენებენ, მოპოვებულს ან გავრცელებულს მათი ნებართვის გარეშე, სხვა შემთხვევაში მათ ცრუ ინფორმაციის გამოყენებით ებრძვიან. ცხადია, ონლაინ ძალადობის მსხვერპლი კაცებიც ხდებიან, მაგრამ მსხვერპლთა შორის ქალების წილი შეუდარებლად მაღალია. დეზინფორმაციის კოორდინირებული კამპანიების ანალიზი აჩვენებს, რომ ზიანის მისაყენებლად მავნე აქტორები უმეტეს შემთხვევაში ისეთ ტაქტიკას იყენებენ, რაც სწორედ ქალებისთვისაა განსაკუთრებით მტკივნეული.

კვლევაში „გამომგონებლური მიდგომები ბოროტი მიზნების მისაღწევად“ ციტირებულია სარა სობიერაჯი (Sarah Sobieraj), რომელიც ქალების შეურაცხყოფას

ონლაინ საჯარო ცხოვრებაში ქალის სრული და თანაბარუფლებიანი მონაწილეობისადმი „სტრუქტურულ წინააღმდეგობად“ და „ციფრული მიზოგინიის“ გამოხატულებად მიიჩნევს. სარა სობიერაჯი 2020 წელს გამოცემული წიგნის „დამაჯერებელი საფრთხე: ქალებზე თავდასხმა ონლაინ და დემოკრატიის მომავალი“ (“Credible Threat: Attacks Against Women Online and the Future of Democracy”) ავტორია. მისი დაკვირვებით, ყველაზე სასტიკად ექცევიან მარგინალიზებული ჯგუფების წევრებს, მათ, ვინც აზრს გამოთქვამს იმ სფეროებში და სფეროებზე, სადაც მამაკაცები დომინირებენ, როგორებიცაა პოლიტიკა, სპორტი, საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა, და კიბერუსაფრთხოება, ასევე იმ ქალებს, ვინც „ფემინისტად აღიქმება ან არ არის კონფორმული ტრადიციულ გენდერულ ნორმებთან“.

საჯარო სივრცეში აქტიურ იმ ქალებს, რომლებიც რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ ან სხვაგვარ უმცირესობას წარმოადგენენ, განსაკუთრებით დაუნდობლად ექცევიან, რაც აჩვენებს, რომ გენდერთან დაკავშირებული შეურაცხყოფა თავისი ბუნებით ინტერსექციურია.

თავდასხმების სამიზნე უფრო ხშირად ის ქალი ჟურნალისტები ხდებიან, ვინც დეზინფორმაციას და მის თანმდევ საკითხებს, როგორებიცაა ციფრული კონსპირაციის ქსელები, კონფლიქტები, და უკიდურესი მემარჯვენე ექსტრემიზმი, აშუქებენ. დეზინფორმაციული ნარატივებით მათ ერთდროულად მრავალ პლატფორმაზე ესხმიან თავს.

მკვლევრების აზრით, საჯარო ასპარეზზე აქტიური ქალები იმის გამოც ხდებიან ონლაინ თავდასხმების სამიზნე, რომ ისინი ხშირად იმ მოძრაობების ავანგარდში არიან, რომლებიც ძალაუფლების ჩამოყალიბებულ სისტემებს გამოწვევას უგზავნიან და მათ საფუძვლებს არყევენ.

მიუხედავად იმისა, რომ სექსისტური დამოკიდებულებები გენდერული დეზინფორმაციის გასაგებად არსებითია, მკვლევრები და აქტივისტები ფიქრობენ, რომ სოციალური ნორმები თავისთავად არ ხსნის იმას, თუ რატომ გახდა თავდასხმები ქალების მიმართ ასეთი ყოვლისმომცველი, განსაკუთრებით სოციალურ მედიაში. ონლაინ სივრცე ქალების წინააღმდეგ მიმართულ ოფლაინ განწყობებს და ძალადობას უბრალოდ კი არ ირეკლავს, არამედ აფართოებს და აძლიერებს მას. ონლაინ დეზინფორმაციის კამპანიები ოფლაინ ძალადობისათვის ლეგიტიმაციის მისანიჭებლად საჭირო მასშტაბსა და კოორდინაციას უზრუნველყოფენ. ონლაინ კამპანია, შესაძლოა, იყოს სიგნალი და საფუძველი ოფლაინ, დროში დაყოვნებული კამპანიისთვის. შეიძლება ონლაინ კამპანია უფრო მეტხანს გაგრძელდეს, ვიდრე ოფლაინი.

## 2. გენდერული დეზინფორმაციის განსაზღვრება და მახასიათებლები

EU Disinfo Lab-ის განმარტებით, "**გენდერული დეზინფორმაცია** გენდერისა და დეზინფორმაციის ინტერსექციაზე აკეთებს აქცენტს, როდესაც ქალები, არაბინარული ადამიანები და საზოგადოების ისეთი მარგინალიზებული წევრები, როგიცაა LGBTQIA+ თემი, არაპროპორციულად ხდებიან ყალბი და არაზუსტი ინფორმაციის სამიზნე. გენდერისა და დეზინფორმაციის შერწყმის ტექნიკები მრავალგვარია. მაგალითად, ისეთი მიზოგენური კომენტარების გავრცელება, რაც გენდერულ სტერეოტიპებს ამძაფრებს, გრაფიკული კონტენტის სექსუალიზება, ონლაინ შევიწროება, მათ შორის ძალადობრივი მუქარების გავრცელება, კიბერთავდასხმები და ა.შ.[1]"

იმ ქალებისთვის, ვინც საჯარო სივრცეში საქმიანობს, სამწუხაროდ, ძალადობა ონლაინ უკვე დიდი ხანია, ნაცნობი რეალობაა. რაც ბოლო წლებში შეიცვალა და რამაც მკვლევრებისა და პოლიტიკის შემმუშავებელთა ყურადღება მიიპყრო, სწორედ დეზინფორმაციის კომპონენტია - დეზინფორმაციული ნარატივების გახშირებული და კრეატიული გამოყენება ქალების წინააღმდეგ ონლიან. ამ ახალი ფენომენის დოკუმენტირებას, აღწერას, პრობლემად აღქმასა და მასთან ბრძოლას ის გარემოება ართულებს, რომ გენდერული დეზინფორმაცია ონლაინ ძალადობის, როგორიცაა შეურაცხყოფა და შევიწროება და დეზინფორმაციის კვეთაზე გვხვდება და მათ შორის მკაფიო ხაზის გავლება პრაქტიკაში არცთუ ისე იოლია.

გენდერული დეზინფორმაციის მახასიათებლების აღწერა და კლასიფიკაცია იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ სწორად მოხდეს პრობლემის სახელდება და მასთან გასამკლავებლად ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ „დეზინფორმაციული" მდგენელის ხაზგასმამ ეს ფენომენი შესაძლოა უფრო აქტუალური გახადოს და მის წინააღმდეგ ბრძოლა გააადვილოს, რამდენადაც სოციალური მედიის პლატფორმები და სხვა დაინტერესებული მხარეები მეტ მზადყოფნას ამჟღავნებენ ზომების მისაღებად დეზინფორმაციის საპასუხოდ, რომელსაც ისინი გლობალურ, სამკვდრო-სასიცოცხლო საფრთხედ განიხილავენ, ვიდრე ქალებისა და მარგინალიზებული ჯგუფების დასაცავად ძალადობისგან ონლაინ. მთელი რიგი გამოწვევებია სამართლებრივი შეფასების და შედეგების თვალსაზრისითაც. ის, თუ რომელ ტერმინებს გამოვიყენებთ გენდერული დეზინფორმაციის აღწერისას, განსაზღვრავს იმას, საერთოდ შევძლებთ თუ არა თუ არა სამართლებრივი ზომების მიღებას თავდამსხმელების დასასჯელად. მიუხედავად იმისა, რომ დეზინფორმაციული კონტენტი ზიანის მომტანია, ზოგჯერ ის არალეგალური არ არის და, შესაძლოა, არც სოციალური მედიის პლატფორმების მომსახურების მოქმედ სტანდარტს (community standards) არღვევდეს.

---

[1] EU DisinfoLab & #ShePersisted, 12 `October, 2022. Gender-Based Disinformation 101: Theory, Examples, and Need for Regulation https://bit.ly/3JZmtLn

საზოგადად, სექსუალიზებული შეურაცხყოფისა და დეზინფორმაციის აღმოჩენა ონლაინ რთულია. დეზინფორმაციული კამპანიების ავტორები დიდ კრეატიულობას იჩენენ თავიანთი ბოროტი მიზნების მისაღწევად - ისინი იყენებენ კოდირებულ ენას და ნაირგვარ ტაქტიკას შესანიღბად. იმის ალბათობა, რომ სექსუალიზებულ შეურაცხყოფასა და დეზინფორმაციას ავტომატიზირებული სისტემები დააფიქსირებენ, დაბალია. მის აღსაქმელად ხშირად საჭიროა საშუალო დონის ან უფრო სიღრმისეული სიტუაციური ცოდნა, რაც სოციალური ქსელების კონტენტის მოდერატორებს, როგორც წესი, აკლიათ.

ონლაინ თავდამსხმელების წინააღმდეგ სამართალდამცავი სტრუქტურები ეფექტიანად ვერ მოქმედებენ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც დემოკრატიის და ადამიანის უფლებებზე ზრუნვის ხანგრძლივი და ჩამოყალიბებული ტრადიციაა, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთი ქვეყნებზე, სადაც ხელისუფლების ორგანოები თავად არიან პრობლემის წამახალისებლები ან ინსპირატორები.

სოციალურ ქსელებს ჯერჯერობით არ აქვთ ისეთი მოქნილი და სწრაფი რეაგირების მექანიზმები, რაც მსხვერპლ ქალებს საშუალებას მისცემდა, მარტივად და დიდი დროითი დანახარჯების გარეშე დაემყარებინათ მათთან კომუნიკაცია და მიეღოთ დახმარება. ახლა შეტყობინების და მტკიცების ტვირთი სრულად მსხვერპლი ქალების მხრებზეა. ბევრი დამქირავებელი არ არის მზად ძალადობის მსხვერპლთათვის საჭირო სამართლებრივი და სხვა სახის მხარდაჭერის აღმოსაჩენად. მკვლევრები მიუთითებენ მიზანმიმართული, კოლექტიური ძალისხმევის საჭიროებაზე ამ საკითხის სპეციალური ინტერესის საგნიდან დემოკრატიასა და საჯარო ცხოვრებაში შეურაცხყოფისა და შევიწროების შიშის გარეშე თანასწორი მონაწილეობის საკითხად ტრანსფორმაციისთვის.

შეურაცხყოფა, როგორც მექანიზმი საჯარო ასპარეზზე აქტიური ქალების დასამორჩილებლად, სხვა ქალებისთვის კი მომავალში მონაწილეობის ყოველგვარი სურვილის დასათრგუნად, არის ის თემა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში გენდერთან დაკავშირებული შევიწროების და დეზინფორმაციის შესახებ სულ იკვეთება. მკვლევარების ერთი ნაწილი დეზინფორმაციას ამგვარი შეურაცხმყოფელი ქცევის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ გენდერი უფრო მეტად  საინფორმაციო ოპერაციების ერთი ნაკლებად შესწავლილი ასპექტია, ვიდრე დეზინფორმაციის კონკრეტული სახეობა. სხვა მკვლევრები იყენებენ ტერმინს „გენდერული დეზინფორმაცია“, ნინა იანკოვიჩის მიერ 2017 წელს შემოთავაზებული ფართო განსაზღვრების საფუძველზე: „ძველი ფესვგადგმული სექსისტური დამოკიდებულების [ნაზავი] იმ ანონიმურობასა და წვდომასთან, რასაც სოციალური მედია იძლევა, ქალების რეპუტაციის გასაცამტვერებლად და საჯარო ცხოვრებიდან მათ განსადევნად“.

ლუსინა დი მეკო გენდერთან დაკავშირებულ დეზინფორმაციას აღწერს, როგორც შეცდომაში შემყვანი ან არაზუსტი ინფორმაციისა და იმიჯების გავრცელებას ქალი პოლიტიკური ლიდერების, ჟურნალისტებისა და საზოგადო მოღვაწეების

წინააღმდეგ საზოგადოებაში გავრცელებული მიზოგინიური დამოკიდებულებებისა და სტერეოტიპების გამოყენებით და მათ თანდაყოლილ „არაკეთილსაიმედოობაზე, უჭკუობაზე, ემოციურობაზე/სექსუალურობაზე“ მითითებით. დი მეკოს აზრით, ამგვარი დეზინფორმაციის მიზანია, შეცვალოს საზოგადოების წარმოდგენა ქალი პოლიტიკოსების მიღწევებზე და პოლიტიკაში კარიერით დაინტერესებულ ქალებს თავიანთ გეგმებზე უარი ათქმევინოს.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), სახელმწიფოსთან დაკავშირებულ ონლაინ გენდერულ დეზინფორმაციას განსაზღვრავს როგორც „საინფორმაციო აქტივობებს (შინაარსის შექმნა, გაზიარება და გავრცელება), რომელიც თავს ესხმის ან ძირს უთხრის ადამიანებს მათი გენდერის საფუძველზე და იარაღად აქცევს გენდერთან დაკავშირებულ ნარატივებს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მიზნებისათვის“.

ნინა იანკოვიჩი და მისი თანაავტორები ვილსონის ცენტრის პროექტიდან, გენდერთან დაკავშირებულ და სექსუალიზებულ დეზინფორმაციას განსაზღვრავენ როგორც „გენდერთან დაკავშირებული ონლაინ შეურაცხყოფის ქვეტიპს, რომელიც ქალების წინააღმდეგ იყენებს ყალბ ან შეცდომაში შემყვან გენდერსა და სექსზე დაფუძნებულ ნარატივებს, ხშირად კოორდინირების გარკვეული ხარისხით და რომლის მიზანიც არის უარი ათქმევინოს ქალებს საჯარო სფეროში მონაწილეობაზე. მასში გაერთიანებულია ონლაინ დეზინფორმაციის სამი განმსაზღვრელი მახასიათებელი: **სიყალბე, ბოროტი განზრახვა და კოორდინაცია.**“

დამაზიანებელი ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს როგორც კოორდინირებულად, ისე არაკოორდინირებულად.

ნინა იანკოვიჩი და მისი თანაავტორები ვილსონის ცენტრის პროექტიდან, კოორდინირებულად მიიჩნევენ დეზინფორმაციის ისეთ კამპანიებს, რომელთაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფები გამიზნულად ეწევიან. მათგან ზოგიერთს, შესაძლოა, დეზინფორმაციული ნარატივისა სჯეროდეს კიდეც. როცა ინფორმაცია არაკოორდინირებულად ვრცელდება, პროცესი დაუგეგმავია. თუ კოორდინირებული დეზინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირება ტექნიკურად შესაძლებელია, არაკოორდინირებული დეზინფორმაციის წარმომავლობა ძნელი დასადგენია და ის სწრაფად ვრცელდება. ერთსა და იმავე სამიზნეს თავს ესხმიან ადამიანთა ჯგუფები. ჭორს კვლევის სუბიექტის შესახებ მრავალი მომხმარებელი მრავალგვარი მოტივით ავრცელებს. ზოგიერთმა მომხმარებელმა დეზინფორმაცია შეიძლება ზიანის მიყენების მიზნით გაავრცელოს, ხოლო სხვებმა კი იმის გამო, რომ ის სანდოდ მიიჩნიეს.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრმა (ICFJ), UNESCO-ს მხარდაჭერით, 15 ქვეყანაში სიღრმისეულად გამოიკვლია ქალი ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული გენდერზე დაფუძნებული ძალადობა ონლაინ. მონაცემების გაანალიზების შემდეგ მკვლევრებმა ამ მოვლენისთვის დამახასიათებელი შვიდი საერთო ნიშანი გამოკვეთეს:

1. ის ხშირად **ქსელურია.** ონლაინ ძალადობა ხშირად ორგანიზებული, კოორდინირებული ან ორკესტრირებულია. ის შეიძლება შეიცავდეს სახელმწიფოს მიერ დასპონსორებულ მართულ ქსელს და მასში მონაწილეობდეს ბრბო.
2. ის, საზოგადოდ, **მიზოგინურია.**
3. ის **რადიაქტიულია,** თავს ესხმის რა არა მხოლოდ ქალ ჟურნალისტებს, არამედ მათ ოჯახებს, წყაროებს, აუდიტორიას, კოლეგებს და მხარდამჭერ ონლაინ  ჯგუფებსაც კი.
4. ის **ინტიმურია.**
5. დეტალებში და მიწოდების ფორმით, მუქარა პერსონალურია. სამიზნე მუქარას იღებს მობილურის ეკრანზე დილით გაღვიძებისთანავე და ღამით დაძინებამდე, იღებს მას როგორც კერძო სივრცეებში, ისე სამუშაო ადგილზე. ხშირად მუქარა ძალიან სექსუალიზებულია. **მან შეიძლება მიიღოს უკიდურესი ფორმა, იყოს მაღალი ინტენსივობის და რაოდენობრივად ბევრი.** შედეგად სამიზნეები თავდასხმებს აღწერენ ისეთი სიტყვებით, რაც ასოცირდება ექსტრემალურ ამინდთან, ავადმყოფობებთან, ბუნებრივ კატასტროფებთან და ომთან, როგორიცაა „თავსხმა წვიმა“, „ეპიდემია“, „ცუნამი“, „წყალდიდობა“, „მეწყერი“, „კაშხალი“, “სანგრიდან გახსნილი ცეცხლი“, „დაბომბვა“.
6. ის შეიძლება შეფასდეს როგორც  **ქსელური „გაზლაითინგი“** („გაზლაითინგი“ აღნიშნავს მანიპულირებას, რომელიც ადამიანს უბიძგებს, ეჭვი შეიტანოს საკუთარ აღქმებსა და რეალობაში, და გახდეს მოძალადეზე დამოკიდებული). უწყვეტი საშუალო და დაბალი ინტენსივობის შეურაცხყოფა და შევიწროება ნელა წვავს, მაგრამ ერთობლიობაში შესაძლოა გამანადგურებელი აღმოჩნდეს და სამიზნეში რეალობის მისეულ აღქმას ძირი გამოუთხაროს.
7. **უფრო უკიდურეს ფორმას იღებს ინტერსექციური ჩაგვრის კონტექსტში** ანუ როცა ჩაგვრის საფუძველია ასევე რასა, სექსუალური ორიენტაცია, რწმენა. ეს ფაქტორები სამიზნეს უფრო მეტად დაუცველს ხდის  და მათ უარეს შედეგებამდე მივყავართ.

ინტერნეტ რესურსში „ონლაინ თავდასხმა და შევიწროება ქალი ჟურნალისტების წინააღმდეგ“ ორგანიზაცია Article 19 ონლაინ თავდასხმის სხვადასხვა ფორმას აღწერს.

შეურაცხყოფა და შევიწროება ონლაინ თავდასხმების ფართო სპექტრს მოიცავს, მათ შორის, თავდასხმებს სოციალური მედიის მთავარ პლატფორმებზე ან სპეციალური აპლიკაციების, პლატფორმებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. მათგან ბევრი გენდერზე დაფუძნებული თავდასხმაა, მიმართული ქალი ჟურნალისტების წინააღმდეგ, მათი ჟურნალისტური საქმიანობის გამო, მათი დაშინების და გაჩუმების მიზნით, დაწყებული მათ პერსონალურ ანგარიშებზე არაავტორიზებული შეღწევით და დასრულებული სექსუალური ძალადობის მუქარით. ამგვარმა თავდასხმებმა შეიძლება გამანადგურებელი გავლენა იქონიონ

ქალი ჟურნალისტების უნარზე, გააგრძელონ პროფესიული საქმიანობა, ასევე მათ პირად ცხოვრებასა და უსაფრთხოებაზე.

შეურაცხყოფა შეიძლება შემდეგი ფორმით გამოვლინდეს:

- **დოქსინგი** - ქალის პერსონალური ინფორმაციის, როგორიცაა ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი ან სახლის მისამართი, საჯაროდ გავრცელება. ამგვარმა ქმედებამ შესაძლოა მათზე თავდასხმების ინტენსივობა გაზარდოს  და საფრთხეში ჩააგდოს ისინი.
- **თვალთვალი** - ტექნოლოგიური საშუალებებით ქალის ონლაინ და ოფლაინ ცხოვრების მონიტორინგი, რომელსაც შეიძლება აწარმოებდეს სახელმწიფო ორგანო ან კერძო პირი.
- **მუქარა** - მსხვერპლს მიზანში იღებს ციფრული პლატფორმის ან აპლიკაციის მეშვეობით. ხშირად შეიცავს ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მუქარას.
- **შევიწროება** - ოფლაინ შევიწროების მსგავსად, შეიძლება მოიცავდეს არასასურველი და დამამცირებელი აქტივობების მთელ სპექტრს, მათ შორის კონტაქტს შეტყობინებებით და აპლიკაციებით. ონლაინ შესაძლოა ბევრი დამნაშავე ერთდროულად დაესხას თავს მსხვერპლს.
- **ინტიმური ან სექსუალური იმიჯების გავრცელება თანხმობის გარეშე** - ეხება ქალის ინტიმური ან სექსუალური იმიჯების გაზიარებას, რომელიც გადაღებულია მასთან ერთად (ან მის მიერ) ან ისე, რომ ქალმა ამის შესახებ არაფერი იცის, და იმ ადამიანის მიერ, რომელსაც აქვს ამ იმიჯებზე წვდომა ქალის თანხმობით (თუმცა არ აქვს თანხმობა მათ გაზიარებაზე), ან იმ ადამიანის მიერ, ვინც სხვა გზით მოიპოვებს მათზე წვდომას. ამგვარმა ქმედებამ, შესაძლოა, სერიოზული ფსიქოლოგიური და რეპუტაციული ზიანი მიაყენოს ქალს.
- **ადევნება** - ქცევათა მთელ სპექტრს მოიცავს, ოფლაინ ადევნების მსგავსს, როგორიცაა განგრძობადი მონიტორინგი ტექნოლოგიის მეშვეობით, რომელიც ქალს თავს საფრთხეში აგრძნობინებს ან შეზღუდავს მის თავისუფლებას ონლაინ.
- **ანგარიშების გატეხვა/კომპიუტერულ სისტემაში მონაცემების მოსაპარად უნებართვოდ შეჭრა** - ეს ხდება, როცა ვინმე არაკანონიერი გზით და ბოროტი განზრახვით მოიპოვებს წვდომას ქალის პირად ანგარიშებზე ან ელექტორნულ მოწყობილობებზე. ამგვარ ქმედებას ხშირად მოჰყვება თავდასხმა სხვა ფორმით, მათ შორის შანტაჟი.
- **ვინაობის მითვისება ან ანგარიშების არაავტორიზებული გამოყენება** - როცა ვინმეს შეუძლია მოიპოვოს კონტროლი ქალის ქმედებაზე ონლაინ ან როცა ის რამე გზით თავს ამ ქალად ასაღებს.

- **დისკრიმინაციული და სექსისტური გამონათქვამები და სტერეოტიპები** - მოიცავს გამონათქვამების ფართო სპექტრს, მათ შორის, ისეთს, რაც ნეგატიურ სტერეოტიპებს ეფუძნება ან საფუძვლად იყენებს ქალის გენდერს, ეროვნულ კუთვნილებას, რელიგიურ კუთვნილებას, რასას.

Article 19 მიუთითებს, რომ ეს სია არ არის ამომწურავი და ის ქალები, ვინც ონლაინ შევიწროებას და შეურაცხყოფას აწყდებიან, შეიძლება განიცდიდნენ სხვადასხვა სახის თავდასხმებს მრავლობითად, ერთზე მეტი თავდამსხმელისგან.

## 3. სახელმწიფოსთან დაკავშირებულ გენდერული დეზინფორმაცია

ავტოკრატიული მმართველები და მათი მოკავშირეები მთელს მსოფლიოში სულ უფრო ხშირად იყენებენ გენდერულ დეზინფორმაციას მათი კრიტიკოსების გასანადგურებლად და ძალაუფლების კონსოლიდაციისთვის. ისინი სტრატეგიულად სარგებლობენ ახალი ტექნოლოგიების მიერ შექმნილი შესაძლებლობებით.

დეზინფორმაციის კოორდინირებული კამპანიები საჯარო სივრცეში აქტიური ქალების წინააღმდეგ უკვე ბევრ ქვეყანაში დაფიქსირდა. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტები ინვესტიციას დებენ ინფრასტრუქტურის განვითარებაში კრიტიკოსების/დისიდენტების წინააღმდეგ არასრული ან ცრუ ინფორმაციის გასავრცელებლად. ავტოკრატი მმართველების და არალიბერალური აქტორების ამგვარი მოქმედება საფრთხეს უქმნის იმ პროგრესს, რასაც ქვეყნებმა ქალთა  და უმცირესობების უფლებების დაცვის თვალსაზრისით მიაღწიეს, ასუსტებს ადამიანის უფლებათა სისტემას საზოგადოდ და ძირს უთხრის მშვიდობასა და უსაფრთოებას გლობალურად.

დეზინფორმაციის კამპანიები ხშირად  ბუნებრივ, არაკოორდინირებულ კამპანიებს ჩამოჰგავს, ან ბუნებრივისა და კოორდინირებულის ნარევს წარმოადგენს, რაც სახელმწიფოებს შესაძლებლობას აძლევს, თავიანთი მონაწილეობა უარჰყონ.

სახელმწიფოსთან დაკავშირებულ გენდერული დეზინფორმაციის კამპანიებს იყენებენ ოპოზიციის გასაჩუმებლად, დემოკრატიული პროცესის ეროზიისთვის და ანგარიშვალდებულებაზე მოთხოვნის დასათრგუნად.

დასავლეთ ევროპაში მემარჯვენე პოლიტიკურმა აქტორებმა არაერთხელ გამოიყენეს გენდერთან დაკავშირებული დეზინფორმაციული ნარატივები პროგრესული ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ. აშშ-ში 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს რუსეთმა საინფორმაციო კამპანია აწარმოვა ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ. აშშ-ში დამაზიანებელი აქტორების სამიზნე არაერთხელ გამხდარან სხვა პოლიტიკოსი ქალებიც, მათ შორის, ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი, სენატორები, კონგრესმენები  და გუბერნატორები.

ლაფში ამოთხვრის გენდერთან დაკავშირებული კამპანიის სამიზნეა ბელარუსის ოპოზიციის ლიდერი სვეტლანა ტიხანოვსკაია (Svetlana Tikhanovskaya), რომლის წინააღმდეგაც კრემლი და ალექსანდრე ლუკაშენკო ქალის შესაძლებლობებზე სექსისტურ წარმოდგენებს იყენებენ.

ქალი ჟურნალისტების წინააღმდეგ კამპანიები განახორციელეს ირანში, ჩინეთსა და რუსეთში, გენდერთან დაკავშირებული ტროპების გამოყენებით, მათ შორის იმ ქალი ჟურნალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ამ ქვეყნების საზღვრებს გარეთ იმყოფებოდნენ და/ან სხვა ქვეყნების მოქალაქეები იყვნენ.

კრემლის თავდასხმებთან უწევს გამკლავება უკრაინელ პოლიტიკოს ქალსაც - სვიტლანა ზალიშჩუკს (Svitlana Zalishchuk). ახალგაზრდა პოლიტიკოსით რუსული პროპაგანდა მას შემდეგ დაინტერესდა, რაც მან გაეროს ტრიბუნიდან რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებულ ომსა და უკრაინელ ქალებზე ამ ომის გავლენაზე ისაუბრა. სვიტლანას დისკრედიტაციისთვის კრემლის ტროლებმა პორნოგრაფიული იმიჯები გაავრცელეს, რომელშიც პოლიტიკოსის სახე იყო ჩამონტაჟებული.

### 3.1. ჯესიკა აროს ისტორია



ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული შემთხვევაა კრემლის საინფორმაციო ოპერაცია ფინელი ჟურნალისტის ჯესიკა აროს წინააღმდეგ, რომელიც კრემლის ტროლების ქარხანას 2014 წლიდან იკვლევს. კრემლის ფინელი მომხრეები ჯესიკა აროს, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ათასგვარ დანაშაულში სდებდნენ ბრალს, და ადამიანებს მის წინააღმდეგ განაწყობდნენ. თავდამსხმელთა მიზანი ჟურნალისტზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება იყო, რათა მას რუსული საინფორმაციო ომის გამოძიება შეეწყვიტა.

ცნობილმა ფინელმა პროპაგანდისტმა იოჰან ბეკმანმა გაავრცელა ყალბი ინფორმაცია, თითქოს ჟურნალისტი აშშ-ს საგარეო დაზვერვისთვის მუშაობდა და ასევე თანამშრომლობდა ნატოსა და ესტონეთის უშიშროებასთან. იოჰან ბაკმანი რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის მიერ დაარსებული „რუსული სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის"(RISS) ოფიციალური წარმომადგენელი იყო სკანდინავიის ქვეყნებში. ინსტიტუტი კრემლის მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციაა, რომელიც რუსეთსა და მის საზღვრებს გარეთ კრემლის პოლიტიკასა და ინტერესებს უწევს ადვოკატირებას.

მასობრივი ინტერნეტკამპანია ტროლებისა და სხვა არაავთენტური ანგარიშების ჩართულობით ჯესიკა აროს გამოხატვის თავისუფლების ხელყოფაში სდებდა ბრალს. ჟურნალისტი ელექტრონული ფოსტით ასობით რუსულენოვან წერილს, სატელეფონო მუქარასა და შეტყობინებას იღებდა. ჟურნალისტის მადისკრედიტირებელი მეილები ეგზავნებოდა ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს, ფინურ მედიასა და კოლეგებს სამსახურში. მაგალითად, ერთ-ერთი სატელეფონო მუქარა, რომელიც უკრაინული ნომრიდან განხორციელდა, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმით შემოიფარგლა. ჟურნალისტს 20 წლის წინ გარდაცვლილმა მამამაც „მისწერა" შეტყობინება, თითქოს ის „თვალყურს ადევნებდა" შვილს. იუთუბზე პოპულარული გახდა ჯესიკა აროზე დაწერილი სიმღერა და ვიდეორგოლი, რომელიც მას ე.წ „რუსეთის ტროლების არმიის ჰიბრიდული ომის დეპარტამენტმა" მიუძღვნა. ვიდეოში სპეციალურ კოსტიუმსა და პარიკში გამოწყობილი მსახიობი ჯესიკა აროს განასახიერებს, რომელიც „ნატოს ნდობით აღჭურვილი პირი", „ამერიკის ტროლი" და „ბონდის გოგონაა" რუსული ტროლების და ვლადიმირ პუტინის წინააღმდეგ.

თავის წიგნში „პუტინის ტროლები: მსოფლიოს წინააღმდეგ რუსეთის საინფორმაციო ომის წინა ხაზზე", რომელიც 2022 წელს გამოვიდა, ჯესიკა არო აღწერს, თუ რა საშინელებები გადახდა თავს ფინეთში - მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაში, თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულების გამო.

საფრთხე, რომ ერთ დღესაც ფსიქოლოგიური ძალადობა ონლაინ სივრციდან ოფლაინში გადაინაცვლებდა, სავსებით რეალური იყო. 2017 წლის თებერვალში ჯესიკა არო იძულებული შეიქნა, ფინეთი დაეტოვებინა და ემიგრაციაში წასულიყო.

ჟურნალისტი ორნახევარი წლის განმავლობაში უძლებდა ონლაინ შეტევებს. მას მოკვლით ემუქრებოდნენ. ანონიმური თავდამსხმელები მას ურჩევდნენ, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა. ცილისმწამებლურ სტატიებს ბოლო არ უჩანდა. ეს სტატიები, რომელთა ნაწილიც ანონიმური იყო, ჟურნალისტს ბოროტმოქმედად, მატყუარად და შეშლილად წარმოაჩენდნენ. ბევრ სტატიას ჯესიკა აროს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი ჰქონდა დართული, რაც ჟურნალისტს პროპაგანდით წაქეზებული ადამიანების სამიზნედ აქცევდა.

ზეწოლის მიუხედავად, ჯესიკა არო თავისი პროფესიული მოვალეობების ერთგული დარჩა და გამოძიება განაგრძო: „რუსული ონლაინ პროპაგანდის გაშუქების შეწყვეტით იმ ძირითად დაპირებას გავტეხდი, რაც საზოგადოებას მივეცი. ჟურნალისტის მოვალეობაა, ფაქტობრივი ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველებს, მსმენელებსა და მაყურებლებს. შიშის გამო კრემლის ტროლების და ყალბი

ამბების გამოძიების შეწყვეტით, მე ჩემს აუდიტორიას მის საყოველთაო უფლებაზე - გაეგო სიმართლე - ვეტყოდი უარს.“

2019 წელს ჯესიკა არო ფინეთში დაბრუნდა.

### 3.2. მარია რესას ისტორია

ავტორიტარული რეჟიმის მიერ წარმოებული დეზინფორმაციული კამპანიის სამიზნე ფილიპინელი გამომძიებელი ჟურნალისტი და მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი (2021), ონლაინ გამოცემა “რაპლერის” (Rappler) თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი რედაქტორი, მარია რესაც (Maria Ressa) გახდა.

მარია რესამ განათლება აშშ-ში მიიღო და ჟურნალისტური გამოცდილება წამყვან საერთაშორისო მედია საშუალებებში დააგროვა. კერძოდ, იგი 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა CNN-ის ბიუროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, იყო ახალი ამბების განყოფილების ხელმძღვანელი ABC-CBN Corporation-ში, ფილიპინების უმსხვილეს სატელევიზიო ქსელში. წლების განმავლობაში იყო CNN-ის წამყვანი გამომძიებელი ჟურნალისტი აზიაში, რა დროსაც ტერორისტული ქსელების საქმიანობას სწავლობდა.



2012 წელს რესამ მცირე გუნდთან ერთად კომპანია “რაპლერი” დააარსა, რომელიც ფილიპინებში პირველი მულტიმედიური ახალი ამბების საიტი იყო. ინოვაციური სოციალური მედია სტრატეგიისა და მაღალი ჟურნალისტური სტანდარტების წყალობით, “რაპლერმა” მალევე მოიპოვა პოპულარობა. იგი დღემდე ინარჩუნებს ლიდერობას ქვეყანაში და მრავალი პროფესიული ჯილდოს ლაურეატია.

2016 წლიდან, რესა ფილიპინების პოპულისტი და ნაციონალისტი პრეზიდენტის, როდრიგო დუტერტეს მიერ ნარკოტიკების მოხმარებისა და კრიმინალების წინააღმდეგ წარმოებულ სასტიკ კამპანიას, რა დროსაც ათასობით ადამიანი დანაშაულის დამტკიცების გარეშე მოკლეს, აქტიურად აკრიტიკებდა.

აღსანიშნავია, რომ დუტერტეს მმართველობის პერიოდი ადამიანების უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევებით ხასიათდებოდა.

კრიტიკის საპასუხოდ, ოპონენტების შესავიწროებლად და საზოგადოებრივი დისკურსის მანიპულირებისათვის, პრეზიდენტმა დუტერტემ მასიური დეზინფორმაციული კამპანია წამოიწყო, რა დროსაც როგორც პერსონალურად რესას, ასევე “რაპლერის” წინააღმდეგ შეტევებმა კოორდინირებული და სისტემატიური სახე მიიღო.

აქტიურად ვრცელდებოდა ბრალდებები, რომლის მიხედვითაც „რაპლერი“ დუტერტეს მტრების მითითებით ახალ ამბებს აყალბებდა. ჟურნალისტები იღებდნენ მუქარის, მათ შორის, გაუპატურების მუქარის შემცველ შეტყობინებებს, რომლებსაც არა ბოტები, არამედ ნამდვილი ადამიანები გზავნიდნენ. ჟურნალისტები შეურაცხყოფასა და შევიწროებას არა მხოლოდ ონლაინ, არამედ ოფლაინ სივრცეებშიც განიცდიდნენ.

თავდასხმების მთავარი ობიექტი მარია იყო. ”მე მეძახდნენ მახინჯს, ძაღლს, გველს, მემუქრებოდნენ გაუპატიურებით და მკვლელობით,” - ამბობს იგი. რესას წინააღმდეგ გავრცელებულ სხვადახვა გაყალბებულ ვიზუალთან ერთად, დღითიდღე მეტად პოპულარული ხდებოდა ჰეშთეგები #ArrestMariaRessa, #BringHerToTheSenate და #UnfollowRappler, რაც, ერთი მხრივ, რესასა და “რაპლერის” წინააღმდეგ ბრბოს მობილიზებას, მეორე მხრივ კი, “რაპლერის” გაშუქებაზე გამყინავი ეფექტის მოხდენას ისახავდა მიზნად.

დამატებით, პრეზიდენტი დუტერტე ამტკიცებდა, რომ „რაპლერი“ მთლიანად ამერიკელების საკუთრება იყო. 2017 წლის ოქტომბერში მან ისიც კი თქვა, რომ „რაპლერს“ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო აფინანსებდა.

რეალურად, ფილიპინების დანონმდებლობის თანახმად, უცხოელებს მედიასაშუალებების ფლობა ეკრძალებათ, თუმცა ინვესტირება მაინც შეუძლიათ. ამ გზით, 2015 წელს „რაპლერში“ ინვესტირება მაღალი საერთაშოორისო რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებმა North Base Media-მ და Omidyar Network-მა მოახდინეს, თუმცა ინვესტიცია მხოლოდ კომერციული სარგებლის მიღებას ისახავდა მიზნად და კომპანიის მმართველი და სარედაქციო გუნდის გადაწყვეტილებებში ჩარევის უფლებას არ ითვალისწინებდა.

ამ საბაბით, რომ თითქოს 2018 წელს Omidyar Network-ის მიერ განხორციელებული ინვესტიცია კანონსაწინააღმდეგო იყო, “რაპლერს” ოპერირების უფლება ჩამოართვეს. მალევე, 2018 წლის მარტში, მარია გადასახადებისაგან თავის არიდებასა და და 2015 წელს საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადის გამიზნულად არასწორად დეკლარირებაში დაადანაშაულეს, რასაც მის წინააღმდეგ დაპატიმრების ორდენი მოჰყვა. რესამ გირაო გადაიხდა და

სააპელაციო სასამართლოს, რომელიც საგადასახადო დავებს განიხილავს, საქმის დახურვა სთხოვა, თუმცა მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

კამპანიამ შედეგი გამოიღო; “რაპლერს” მნიშვნელოვანი რეპუტაციული ზიანი მიადგა, რაც რეკლამების რაოდენობაზეც აისახა. რეპუტაციულ ზიანს კოორდინირებული არაავთენტური ქსელიც აძლიერებდა, რა დროსაც სოციალური მედიის ყალბი ანგარიშები, რომლებიც სხვა ადამიანების იდენტობას იპარავდნენ და თავს რიგით  ფილიპინელ მოქალაქეებად ასაღებდნენ, ერთი მხრივ, დუტერტეს აქებდნენ, მეორე მხრივ კი “რაპლერსა” და მარიას საჯაროდ აკრიტიკებდნენ.

2019 წელს რესა ცილისწამების ბრალდებით კვლავ დააპატიმრეს, რა დროსაც იგი სასამართლომ დამნაშავედ ცნო. რესამ გირაო გადაიხადა და განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. აღსანიშნავია, რომ რესას საწინააღმდეგოდ მიღებული განაჩენი საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო და ის მარია რესასა და „რაპლერის“ კრიტიკული პოზიციის გამო დუტერტეს შურისძიებად შეაფასა.

### 3.3. ნიკოლ პერლროთის ისტორია

ნინა იანკოვიჩი და მისი თანაავტორები ვილსონის ცენტრის პროექტიდან აღწერენ, თუ როგორ გახდა ნიკოლ პერლროთი (Nicole Perlroth), „ნიუ იორკ თაიმსის“ რეპორტიორი, რომელიც ციფრული  უსაფრთხოების საკითხებში სპეციალიზდებოდა, რუსეთის სახელმწიფოს მიერ დასპონსორებული უცხოური მაუწყებლის, „რაშა თუდეის“ (RT), სამიზნე. იმ დროს, როცა ჟურნალისტი 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევასა და ედვარდ სნოუდენის მიერ ინფორმაციის გაჟონვაზე მუშაობდა, სოციალური მედიის მომხმარებლები ნიკოლის იმ ფოტოების დააფრიალებდნენ, სადაც ის კარგად არ გამოიყურებოდა, რათა მის გარეგნობაზე კომენტარი გაეკეთებინათ. ნიკოლს დაემუქრნენ გაუპატიურებით, მათ შორის ბევრჯერ პირდაპირი შეტყობინების მეშვეობითაც. რეპორტიორი ამ ანგარიშებს ბლოკავდა და სოციალური მედიის პლატფორმებს პრობლემის შესახებ ატყობინებდა. შეურაცხყოფელი გამონათქვამების უმეტესობა ნიკოლის  ჟურნალისტურ შესაძლებლობებს ეხებოდა. აგრესიულად განწყობილი მომხმარებლები მიანიშნებდნენ, რომ ნიკოლს, რომელსაც არც კომპიუტერულ მეცნიერებებში ჰქონდა ტექნიკური ცოდნა და არც კომპიუტერული უსაფრთხოების მკვლევარი იყო, ამ საკითხებზე აზრის გამოთქმის უფლება საერთოდ არ ჰქონდა. „ნიუ იორკ თაიმსის“ მამაკაცი რეპორტიორები, ნიკოლის თანაავტორები,  მსგავსი, გენდერთან დაკავშირებული შევიწროების სამიზნე, არ გამხდარან.

რუსული მედია საქმეში 2020 წლის აგვისტოდან ჩაერთო. საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ნიკოლმა დაწერა ტვიტი რუსული ინტერნეტ კვლევის სააგენტოს კარგად დოკუმენტირებული სტრატეგიის შესახებ, რომლის სამიზნეც აფრო-

ამერიკელი ამომრჩევლები იყვნენ, მიზანი კი ის, რომ ისინი 2016 წლის არჩევნებზე არ მისულიყვნენ. საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას რუსი ტროლები „შავკანიანთა სიცოცხლე ღირებულია“-ს აქტივისტებად ინიღბებოდნენ და ჰილარი კლინტონის საწინააღმდეგო მიმებს და ნარატივებს ავრცელებდნენ. თავის ტვიტში ჟურნალისტი სენატის სადაზვერვო კომიტეტის მიგნებებს ციტირებდა, რომელმაც დაასკვნა, რომ 2016 წელს რუსეთის გავლენის ოპერაციების უმრავლესობა აფრო-ამერიკელი ამომრჩევლების დათრგუნვისკენ იყო მიმართული, და კითხულობდა, რატომ არ იყო ეს საკითხი გამოძიებული და როგორ შეიძლებოდა იმის გაზომვა, თუ რამდენად იმოქმედა ამ ოპერაციებმა აფრო-ამერიკელი ამომრჩევლების მხარდაჭერაზე ჰილარი კლინტონის მიმართ.



RT ამ ტვიტის გამოქვეყნებიდან მალევე გამოაქვეყნა სტატია სათაურით „'ნიუ-იორკ თაიმსის' თეთრკანიანი რეპორტიორი ეუბნება აფრო-ამერიკელებს, რომ მათ ჰილარი კლინტონს საკმარისი რაოდენობით არ მისცეს ხმები იმიტომ, რომ ისინი რუსეთმა გაასულელა.“ როგორც თავად სტატია, ისე ის კონტენტი, რომელიც RT-მ თავის გვერდებზე ტვიტერში, ინსტაგრამსა და ფეისბუქზე ამ სტატიის პოპულარიზაციისათვის გამოაქვეყნა, გენდერთან დაკავშირებულ ერთ ტროპს იყენებდა, რომელსაც ნიკოლი თავისი კარიერის განმავლობაში მრავალჯერ წააწყდა: ის საკმარისად ჭკვიანი არ არის იმისთვის, რომ ესმოდეს თემები, რომელთაც ის აშუქებს. სტატია ასე იწყება: „ამას თითქმის ოთხი წელი დასჭირდა. ,ნიუ-იორკ თაიმსის' რეპორტიორმა ნიკოლ პერლროთმა ბოლოს და ბოლოს გაარკვია, თუ რატომ არ აღაფრთოვანა ჰილარი კლინტონის კანდიდატურამ 2016 წელს აფრო-ამერიკელები: მიზეზი რუსი ტროლებია.“

RT ზაფხულში, ამერიკის შეერთებულ შტატებში რასობრივი მღელვარების დროს, როცა ის ამერიკული პოლარიზაციისა და ენდემური რასიზმის ალების გაღვივებით იყო დაკავებული, თქვა, რომ პერლროთის ლეგიტიმური კითხვები, 2016 წელს რუსული საინფორმაციო ოპერაციების გავლენის შესახებ მათ მიზნობრივ აუდიტორიაზე, რასისტული იყო. RT-მ სტატიასთან ერთად ჰილარი კლინტონის არამიმზიდველი ფოტოები გამოაქვეყნა, სადაც მას თითქოსდა აგრესიული პოზა ჰქონდა მიღებული, რათა ხელი შეეწყო ნარატივისთვის, რომ კლინტონი იყო „ საძაგელი“ და “აბეზარი“ და რომ ასაკოვანი ქალების ადგილი საზოგადოებაში არ არის. საბოლოოდ, ნიკოლთან დაკავშირებული ნარატივი ამერიკულ რადიკალურ მედიაში გაირიყა; კონტენტში, რომელშიც გადამუშავებული იყო RT-ში

გამოქვეყნებული სტატია, ამერიკულმა ვებსაიტმა გამოიყენა ჟურნალისტის არცთუ სასიამოვნო ფოტო, ტექსტის გვერდით, სადაც ეწერა რომ ის „წუწუნებდა“ ჰილარი კლინტონის მიერ 2016 წელს არჩევნების წაგების გამო.

ონლაინ „ხმაური“ ნიკოლის ტვიტის გარშემო არაპროპორციულად მაღალი იყო, რამაც ჟურნალისტს აფიქრებინა რომ ამ ყველაფერში RT-ს ხელი ერია. ნიკოლმა ტვიტი წაშალა. ქალები, ვინც ონლაინ შევიწროებას განიცდიან, მათ მიმართ აგრესიის შესამცირებლად ასე ხშირად იქცევიან. თუმცა RT-მ ესეც ნიკოლის წინააღმდეგ გამოიყენა და ტვიტის წაშლა ჟურნალისტის მიერ შეცდომის აღიარებად წარმოაჩინა. ნიკოლის გადაწყვეტილებამ, კონტენტი წაეშალა, მეტ შეურაცხყოფას გაუხსნა კარი.

მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ იმისდა მიუხედავად, რომ RT-ს მიერ ნიკოლის წინააღმდეგ წარმოებული კამპანია გენდერზე დაფუძნებულ ან სექსუალიზებულ ტროპებს არ შეიცავდა და ამ კამპანიის ელემენტებს ვერც სოციალური მედიის ავტომატიზირებული ინსტუმენტები აღმოაჩენდნენ, ის, რუსეთის მედიის ონლაინ ეკოსისტემის მეშვეობით, კიდევ უფრო მზაკვრულ ნარატივს ავრცელებდა - რომ ქალები არიან სულელები, „წუწუნები“, ან, ჰილარის კლინტონის შემთხვევაში, ზედმეტად დახარბებული ძალაუფლებას - რათა საზოგადოებაში არსებული განხეთქილება უფრო გაეღრმავებინა. ეს ნარატივი მოგვიანებით ამერიკულმა ადგილობრივმა პუბლიკაციებმა და აუდიტორიებმა გააძლიერეს და გაიმეორეს.

## 4. რეკომენდაციები ჟურნალისტებისთვის პასუხისმგებლიანი გაშუქების თაობაზე

ის, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება ქალებს, დიდწილად მედიაზეა დამოკიდებული. პასუხისმგებლიანმა ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ხელი არ შეუწყოს სექსისტური მიდგომების და ზიანის მომტანი სტერეოტიპების შენარჩუნებასა და გაღრმავებას და არ აქციოს ქალები სიძულვილით მოტივირებული თავდასხმების სამიზნედ. მეტიც, პასუხისმგებლიანმა ჟურნალისტრმა პროფესიონალური გაშუქებით ხელი უნდა შეუწყოს ქალების გაძლიერებას, მათი როლის და წარმომადგენლობის გაზრდას საჯარო ცხოვრების ყველა სფეროსა და ხელისუფლების ორგანოებში.

გიზიარებთ  რამდენიმე რეკომენდაციას ქალთა უფლებებზე მომუშავე ჯგუფის, We Are UltraViolet, მიერ მომზადებული გზამკვლევიდან “როგორ უნდა შეინარჩუნოს მედიამ სამართლიანობა და მიუკერძოებლობა დეზინფორმაციის პირობებში პოლიტიკაში ჩართულ ქალთა და ფერადკანიანთა გაშუქებისას.”

## პოლიტიკურ თანამდებობებზე წარდგენილი ქალების გაშუქებისას

- გაიაზრეთ, რა სახის მიკერძოებას შეიძლება იჩენდეთ კანდიდატის მიმართ მისი გენდერის, ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილების, სოციალური წარმომავლობის ან რამე სხვა მსგავსი ნიშნის გამო. არ დასვათ ისეთი შეკითხვები და არ გამოიყენოთ ისეთი ენა, რაც ამ მიკერძოებებითაა ნაკარნახები.
- კანდიდატის ისეთ ფოტოზე შეაჩერეთ არჩევანი, სადაც ის პროფესიონალურად გამოიყურება და რომელიც ნეგატიური სტერეოტიპების გაღრმავებას არ გამოიწვევს.
- არ მიანიშნოთ ოჯახურ მდგომარეობაზე. მარტოხელა ქალები ისტორიულად განიხილება როგორც არასასურველი და უხეირო.
- სრულად დაასახელეთ მისი თანამდებობა.
- ფოკუსირება მოახდინეთ კანდიდატის პოლიტიკაზე მისი ყალიბში მოქცევის გარეშე. მათ მხოლოდ გენდერთან და სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებულ კითხვებით ნუ მიმართავთ.
- საკუთარ თავს ჰკითხეთ - ამას ვიტყოდი და დავწერდი კანდიდატზე, ის რომ თეთრკანიან მამაკაცი იყოს?

## მიკერძოება და დეზინფორმაცია სათაურებში, ფოტოებში და სოციალურ მედიაში

- თუ თქვენ გააშუქებთ დეზინფორმაციას მისი მხილების ნაცვლად, ამით თქვენ ხელს შეუწყობთ მის გავრცელებას. თუკი აუცილებელია, რომ ამ დეზინფორმაციაზე დაწეროთ, მას სათაურშივე უნდა უწოდოთ დაუსაბუთებელი, შეთქმულების თეორია, გამოაშკარავებული, საეჭვო, შეცდომაში შემყვანი, ტყუილი, სიყალბე, და სხვა.
- როცა კონტენტი სოციალურ მედიაში ზიარდება, სათაურმა, ფოტომ და ანონსმა, რასაც მომხმარებლები ხედავენ, შეიძლება უნებურად წაახალისოს და გაავრცელოს დეზინფორმაცია და მიკერძოებები, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ქალებს და სხვა მარგინალიზებულ ჯგუფებს. ამიტომ თქვენ უნდა დაწეროთ სათაურები და ტექსტები სოციალური მედიისთვის იმ გათვლით, რომ თითქოსდა ეს იქნება ის ერთადერთი რამ, რასაც ადამიანები წაიკითხავენ. სათაურები, რომლებიც დეზინფორმაციას  და რასისტულ ან სექსისტურ თავდასხმებს სენსაციად აქცევს, სოციალურ მედიასა და ახალი ამბების ზოლში დეზინფორმაციის გავრცელებას უწყობს ხელს.
- ნუ გააზიარებთ ბმულებს დეზინფორმაციის წყაროზე - ამან შეიძლება მათ ვიზიტორები გაუზარდოს. უკეთესი იქნება, თუ გააზიარებთ სქრინშოტს ბმულის გარეშე.
- ზედმეტ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ გარე აქტორების როლს, ვინაიდან ეს რეალობის შეგრძნებას დაგაკარგვინებთ - რეალობა კი ისაა, რომ ბევრ დეზინფორმაციას ადგილობრივი აქტორები ავრცელებენ.

- გადაჭარბებულად ნუ შეაფასებთ ბოტების როლს, ვინაიდან რეალობაში ბევრი რამ ფეხს იკიდებს როგორც ხელოვნური, ისე ორგანული განწყობების გამო.
- ცუდი აქტორები აგნებდნენ და კვლავაც აგნებენ ოპონენტებს ოფლაინ. ნუ გამოაქვეყნებთ პერსონალურ ინფორმაციას, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ცუდმა აქტორებმა თავიანთ სამიზნეს მიაგნონ.
- ყურადღებით იყავი იმ ნიშნების მიმართ, რითაც შეიძლება ამოიცნოთ, რომ ფოტო ან ვიდეო მანიპულირებულია: რომ თავს სხვად ასაღებენ, ცვლიან კონტექსტს, ან აღრმავებენ რასისტულ, სექსისტურ ან ანტი-სემიტურ ტროპებს.

## ტესტი მიკერძოებაზე

დეზინფორმაციის კამპანიები ხშირად მიზანში იღებს მარგინალიზებულ ადამიანებს - ქალებს, ფერადკანიანებს, ლბტქი ადამიანებს, ემიგრანტებს, ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას, მუსლიმებს, უნარშეზღუდულ ადამიანებს - რათა მათ წარმატების მიღწევაში ხელი შეუშალოს და სიძულვილი დანერგოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გამოვიკვლიოთ სისტემური რასიზმი, სექსიზმი და ნაგულისხმები მიკერძოება დეზინფორმაციასთან კავშირში. დეზინფორმაციული კამპანიები სანდოობის მოსაპოვებლად მარგინალიზებულ ადამიანებზე ნეგატიური სტერეოტიპებით იკვებება  იმ დროს, როცა სამიზნეს თავს ესხმის.

დეზინფორმაცია შეიძლება გააღვივოს სენსაციურმა სათაურმა, დებატების დროს გამოყენებულმა შეკითხვამ შეფარული სექსისტური ნახევარტონებით, ან ისეთმა ფოტომ, რაც სტერეოტიპებს აღრმავებს.

კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტებს ესმოდეს გზები, რომელთა მეშვეობითაც ნაგულისხმები მიკერძოება შეიძლება გამოჩნდეს პოლიტიკაში, რათა, ერთი მხრივ, არ გააღრმავონ მათივე პირადი მიკერძოებები, და მეორე მხრივ,  გამოავლინონ და ეჭვის ქვეშ დააყენონ დეზინფორმაცია, რომლის  მიზანი მრავალფეროვანი კანდიდატებისა და პოლიტიკური ლიდერებისათვის ზიანის მიყენებაა.

## სექსისტური ტროპები, რომლებსა ეჭვით უნდა შეხედოთ და გამოააშკარაოთ

- **ქალის ასოცირება მამაკაცთან როგორც ლეგიტიმაციის საშუალება**

ისტორიულად, ქალებს, სანამ რამეს გააკეთებდნენ, სჭირდებოდათ ნებართვა თავიანთი ქმრებისგან ან მამებისგან. დღეს, ქალების იდენტიფიცირებას ჯერ ისევ ახდენენ მათი კავშირებით ან  შედარებით მამაკაცებთან, მათთვის ლეგიტიმურობის მისანიჭებლად, მაგრამ ეს გულისხმობს რომ ქალისთვის ამოსავალი არ შეიძლება იყოს მისი საკუთარი გამოცდილება და მიღწევები.

- ნუ დაწერთ ასე - ის ამ მამაკაცის ცოლია, ეს იმ მამაკაცის დედაა, ის ამ მამაკაცის ქალური ვერსიაა, და სხვა მსგავსს.
- გენდერს ნუ დააკონკრეტებთ, როცა ეს არ არის აუცილებელი - ნუ დაწერთ „ქალი ექიმი“, „ქალი პროკურორი“, „ქალი დეპუტატი“.
- ნუ დასვამთ ასეთ შეკითხვას - რას ფიქრობს თქვენი ქმარი იმაზე, რომ ამ თანამდებობაზე არჩევისთვის იბრძვით?

- **ზედმეტი ყურადღება ოჯახური როლების მიმართ**

მეინსტრიმული მედია მამაკაცებს უფრო ხშირად აშუქებს როგორც პროფესიონალებს, მაშინ როცა ქალებს უფრო მათი პირადი ცხოვრების კონტექსტში წარმოაჩენს. მედია აშუქებს მამაკაცებს როგორც ლიდერებს, ქალები კი მას უფრო მეტად ცოლებისა და დედების როლში აინტერესებს. ასეთი გაშუქება ქალ პოლტიკოსებს ისე წარმოაჩენს, თითქოსდა ისინი სამსახურის გამო საშინაო პასუხისმგებლობებს თავს არიდებენ.

არასწორია ქალი პოლიტიკოსისთვის შეკითხვის დასმა იმაზე, თუ ვინ ზრუნავს ბავშვებზე ან როგორ აბალანსებს სამუშაოს და ოჯახს.

- **არ შეიძლება ქალებზე საუბრისას ისე წარმოაჩინოთ, რომ თითქოს ამბიცია ხასიათის უარყოფითი თვისება იყოს.**

ნებისმიერ პოლიტიკურ, მედია ან სამთავრობო ლიდერს აქვს ამბიცია, მაგრამ ხასიათის ეს ნიშანი უარყოფითად მხოლოდ ქალის შემთხვევაში ფასდება: მამაკაცებს, რომლებიც არჩევითი თანამდებობისთვის იბრძვიან, აქვთ ამბიცია, მაშინ როცა ქალებს, ვინც იგივეს აკეთებს, ამბიციურს უწოდებენ. ეს ქმნის ორმაგ სტანდარტს: ქალი ისჯება იმისთვის, რის გამოც მამაკაცს ტაშს უკრავენ.

- **ზედმეტი ყურადღება ხმისა და გარეგნობის მიმართ**

ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული მიგნება რაც კვლევებიდან გამოჩნდა, არის ის, რომ ქალი კანდიდატები უფრო მეტ ყურადღებას იქცევენ გარეგნობის გამო, ვიდრე მამაკაცები, რაც ამომრჩევლებს შორის მათი კვალიფიციურობის აღქმას ამცირებს.

არასწორია:

- ტანსაცმელზე ფოკუსირება ან ჩაცმულობის ანალიზი
- ფოკუსირება წონის კლებაზე ან მატებაზე
  - ქალის სხეულის აღწერა/ტანსაცმლის ზომის მითითება
- ფოკუსირება კოსმეტიკურ საშუალებებსა და თმაზე

        - გამოყენებული საშუალებების აღწერა ან ფოკუსირება იმაზე რომ კანდიდატი მათ არ იყენებს
        - თმის ვარცხნილობაში შეტანილი ცვლილებების აღწერა და კრიტიკა
- კანდიდატისთვის იმის თქმა, რომ გაიღიმოს ან იმაზე საუბარი, იღიმება ის თუ არა
- კანდიდატის ან პოლიტიკოსის ჰიპერსექსუალიზაცია
- კომენტარი მიმზიდველობაზე
- ხმის ტონზე და არა იმის არსზე ფოკუსირება, რაზეც ქალი კანდიდატი საუბრობს
- არ შეიძლება "მჩხავანას", "გესლიანის", "კაპასის" და სხვა მსგავსი ზედსართავების გამოყენება

- **მოერიდეთ ისეთი ტერმინების გამოყენებას, რაც ემოციას სისუსტესთან ან შეშლილობასთან ათანაბრებს, ხოლო სტოიკურობას იმასთან, რომ ის „ცივია“.**

ქალები ხშირად ისჯებიან იმისთვის, რომ ზედმეტად ემოციურები არიან ან არიან „ცივი“, თუკი ემოციებს არ გამოხატავენ. მამაკაცებზე ასე არ საუბრობენ.

არ გამოიყენოთ ამგვარი შეფასებები:

- შარიანი/გაბოროტებული გოგო
- ყინულის დედოფალი
- მბრძანებლობის მოყვარული
- ფიცხი
- არასასიამოვნო
- გამაღიზიანებელი/აუტანელი/განხეთქილების შემტანი
- აგრესიული
- უგუნური
- ემოციური

- **სიფრთხილე გამოიჩინეთ სიტყვების „არასასიამოვნო“ და „არჩევა რომ არ მოგინდება, ისეთი“ გამოყენებისას**

კვლევა აჩვენებს რომ ამომრჩევლები უფრო ხშირად აძლევენ ხმას მამაკაც კანდიდატს, რომელიც მათ არ მოსწონთ, ვიდრე ქალს, რომელიც მათ არ მოსწონთ, ასე რომ დისკუსიები იმაზე, არის თუ არა ადამიანი არასასიამოვნო, მხოლოდ ქალებს აზარალებს.

თავი აარიდეთ ადამიანების შეფასებას როგორც მამაკაცურის ან ქალურის, განსაკუთრებით როცა საქმე ლგბტქ თემის წევრებს ეხება. საზოგადოდ,

განიხილეთ ადამიანები როგორც მრავალგაზომილებიანი, როგორებიც ისინი სინამდვილეში არიან და ნუ დააკავშირებთ მათ არსს რასასთან, გენდერთან, სექსუალურ ორიენტაციასთან და სხვა მსგავს ნიშნებთან.

არ შუწყოთ ხელი ინფანტილიზაციას და არ გამოიყენოთ ისეთი სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ “მფარველობას/მეურვეობას“, მაგალითად, არ უწოდოთ ზრდასრულ ქალს „გოგონა“.

## გამოყენებული ლიტერატურა


**1. MALIGN CREATIVITY HOW GENDER, SEX, AND LIES ARE WEAPONIZED AGAINST WOMEN ONLINE**

Malign Creativity: How

Gender, Sex, and Lies are Weaponized Against Women Online | Wilson Center

Authors: Nina

Jankowicz, Jillian Hunchak, Alexandra Pavliuc, Celia Davies, Shannon Pierson,

Zoë Kaufmann

Wilson Center, Science

and Technology Innovation Program

*January 2021*

**2. ENGENDERING HATE THE CONTOURS OF STATE-ALIGNED GENDERED DISINFORMATION ONLINE OCTOBER 2020 ELLEN JUDSON ASLI ATAY ALEX KRASODOMSKI-JONE**

https://www.ndi.org/publications/engendering-hate-contours-state-aligned-gendered-disinformation-online

Demos ( www.demos.co.uk ), at request from

NDI, as part of a National Endowment for Democracy program

Authors: Ellen Judson, Asli Atay, Alex Krasodomski-Jones, Rose Lasko-Skinner, Josh Smith

*October 2020*

**3. Gender-Based Disinformation: Advancing Our Understanding and Response**

https://www.disinfo.eu/publications/gender-based-disinformation-advancing-our-understanding-and-response/

EU DISINFO LAB

*October 2021*

**4. The Chilling: A global study of online violence against women journalists**

ICFJ_UNESCO_The Chilling_2022_1.pdf

ICFJ with the support of UNESCO

EDITORS: Julie Posetti and Nabeelah Shabbir

*November 2, 2022*

**5. Gendered disinformation is a national security problem**

https://www.brookings.edu/techstream/gendered-disinformation-is-a-national-security-problem/

Lucina Di Meco and Kristina Wilfore

Brookings Institution Tech Stream

*March 8, 2021*

**6. How disinformation became a new threat to women**

**Female politicians and other high profile women face a**

**growing threat from sexualized disinformation**

https://www.codastory.com/disinformation/how-disinformation-became-a-new-threat-to-women/

.CODA

Nina Jankowicz

*December 11, 2017*

**7. Online abuse and harassment against women journalists**

https://www.article19.org/onlineharassment/

Article 19

**8. Putin's Trolls, On the Frontlines of Russia's Information War against the World**

Jessikka Aro

IG Publishing

New  York, NY

2022

ISBN: 978-1632461-29-2

**9. ეს არ არის პროპაგანდა, მოგზაურობა ომში რეალობის წინააღმდეგ**

პიტერ  პომერანცევი

თბილისი 2022

ISBN 978-9941-31-450-6

**10. Reporting in an Era of Disinformation**

**Fairness Guide for Covering Women and People in Color in Politics**

https://weareultraviolet.org/wp-content/uploads/2020/08/uv-vp-reporting-styleguide-v3.pdf?v=2

We Are UltraViolet

**11. ჟურნალისტიკა, 'ყალბი ამბები" და დეზინფორმაცია, ჟურნალისტიკის სწავლების და ტრენინგის სახელმძღვანელო. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) სერიიდან ჟურნალისტური განათლების შესახებ**

http://mdfgeorgia.ge/uploads//fake%20news-GEO_A4_WEB.pdf

რედაქტორები: შერლინ ირეტონი და ჯული პოზეტი

კონტრიბუტორი ავტორები: ჯული პოზეტი, შერლინ ირეტონი, კლერ უორდლი, ჰოსეინ დერაქშანი, ელის მეთიუსი, მაგდა აბუ-ფადილი, ტომ ტრუვინარდი, ფერგუს ბელი, ალექსიოს მანცარლისი

გამოცემულია 2021 წელს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ.

ქართულად თარგმნილია და გამოცემულია მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ.

ISBN 978-92-3-000130-8